პრეს-რელიზი

ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო საქართველოში

ი. ჭავჭავაძის გამზ., II ჩიხი, კორპ. 3ა, 0179 თბილისი
ტელ.: 91 38 70 / 71 / 72 / 73
ფაქსი: 91 38 74
ელ-ფოსტა: informtbilisi@coe.int
ვებ-გვერდი: www.coe.ge

ევროპის საბჭო

47 წევრი ქვეყანა

ალბანეთი
ანდორა
სომხეთი
ავსტრია
აზერბაიჯანი
ბელგია
ბოსნია და ჰერცეგოვინა
ბულგარეთი
ხორვატია
კვიპროსი
ჩეხეთის რესპუბლიკა
დანია
ესტონეთი
ფინეთი
საფრანგეთი
საქართველო
გერმანია
საბერძნეთი
უნგრეთი
ისლანდია
ირლანდია
იტალია
ლატვია
ლიხტენშტეინი
ლიტვა
ლუქსემბურგი
მალტა
მოლდოვა
მონაკო
მონტენეგრო
ნიდერლანდები
ნორვეგია
პოლონეთი
პორტუგალია
რუმინეთი
რუსეთი
სან მარინო
სერბია
სლოვაკეთი
სლოვენია
ესპანეთი
შვედეთი
შვეიცარია
„ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“
თურქეთი
უკრაინა
გაერთიანებული სამეფო

არაოფიციალური თარგმანი

საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ 1633 (2008) რეზოლუციის განხორციელება

რეზოლუცია 1647 (2009)[1]

---

1. საპარლამენტო ასამბლეა სრულად ადასტურებს „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ“ 2008 წლის 2 ოქტომბერს მიღებულ 1633 (2008) რეზოლუციას. მასში ასამბლეამ მკაცრად დაგმო მის ორ წევრ სახელმწიფოს შორის ომის დაწყება და მიიჩნია, რომ ომის მიმდინარეობისას და უშუალოდ მის შემდგომ, ორივე სახელმწიფომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები, ისევე როგორც ევროპის საბჭოს წესდება და ორგანიზაციაში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებანი. შესაბამისად, ასამბლეამ წაუყენა კონკრეტული მოთხოვნები საქართველოსა და რუსეთს, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებს. მათ შორის იყო მოთხოვნა რუსეთისადმი, გაეუქმებინა მის მიერ ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება. იმავდროულად, ასამბლეამ წარმოადგინა გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და კონკრეტული სამოქმედო გეგმა ომის შედეგების აღმოსაფხვრელად, განკუთვნილი არა მხოლოდ მონაწილე მხარეებისთვის, არამედ თვით ასამბლეისთვისაც.

2. ასამბლეა მიესალმება ევროკავშირის მიერ 2008 წლის 2 დეკემბერს დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების მომკვლევი მისიის შექმნას საქართველოში არსებული კონფლიქტის გარშემო, რომელმაც უნდა შეისწავლოს კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი მიმდინარეობა, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით და ამ კონტექსტში წაყენებული ბრალდებები. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია სიმართლის დადგენისა და იმ საფუძვლის უზრუნველყოფის გზაზე, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სამომავლო მშვიდობა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამასთან დაკავშირებით, ასამბლეა:

2.1. მიესალმება რუსეთისა და საქართველოს მიერ გამოვლენილ მხარდაჭერას დამოუკიდებელი საერთაშორისო საგამოძიებო ორგანოს დაარსებისადმი, რომელმაც უნდა შეისწავლოს ომის დაწყების მიზეზები და მათ მიერ გაცხადებულ ნებას, სრულად ითანამშრომლონ გამოძიებასთან;

2.2. მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს, ამიერიდან ეფექტურად, სრულად და უპირობოდ ითანამშრომლონ ევროკავშირის ფაქტების მომკვლევ მისიასთან;

2.3. მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც სარგებლობენ დამკვირვებლის სტატუსით ორგანიზაციაში, ხელმისაწვდომი გახადონ ფაქტების მომკვლევი მისიის მოხმარებისათვის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის სატელიტური მონაცემები, რომელიც, შესაძლოა, საინტერესო აღმოჩნდეს გამოძიებისათვის;

2.4. მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც იმავდროულად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც არიან, უზრუნველყონ, რათა ევროკავშირის მისიის მოხსენება მიეწოდოს ასევე ევროპის საბჭოს, მასში მოცემული დასკვნების ასამბლეის მიერ განხილვის მიზნით; ევროპის საბჭომ უნდა განაგრძოს საკუთარ ვალდებულებათა აღსრულება მის ორ წევრ სახელმწიფოს შორის მომხდარ ამ კონფლიქტთან მიმართებაში;

2.5. გადაწყვეტს, დაუბრუნდეს ომის დაწყების გარშემო არსებულ მიზეზთა და ზუსტ გარემოებათა განხილვის საკითხს მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ევროკავშირის მისიის მოხსენება;

3. ასამბლეა მოუწოდებს ყველა მხარეს, კონსტრუქციული სულისკვეთებით განაგრძოს ჟენევის მოლაპარაკებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ, იმისათვის რათა შემოღებულ იქნეს ინციდენტთა თავიდან აცილების მექანიზმი, როგორც ეს იქნა შემოთავაზებული მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარე ორგანიზაციების (გაერო, ეუთო და ევროკავშირი) მიერ. ასამბლეა მხარს უჭერს პრინციპს, რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში 2008 წლის აგვისტოს დასაწყისის მდგომარეობით მცხოვრებთა წარმომადგენლებმა, როგორც დე ფაქტო მთავრობის მხარდამჭერებმა, ისე საქართველოსთან რეინტეგრაციის მოსურნეებმა, უნდა მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ მოლაპარაკებებში. ის მოითხოვს ასევე, რომ

მოლაპარაკებებში მათთვის მინიჭებულმა სტატუსმა არ დაარღვიოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. აქედან გამომდინარე, ასამბლეა მოუწოდებს ყველა მხარეს, შეთანხმდეს იმგვარ ფორმატზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას, ამ ორი სეპარატისტული რეგიონის სტატუსისადმი ზიანის მიუყენებლად.

4. ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და ამ ქმედებას მიიჩნევს საერთაშორისო სამართლისა და ევროპის საბჭოს საწესდებო პრინციპების დარღვევად. ასამბლეა ადასტურებს მის ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენობის პრინციპებისადმი და იმეორებს მის მოწოდებას რუსეთის მიმართ, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სრულად დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ისევე როგორც მისი საზღვრების ურღვევობის პრინციპები;

5. ასამბლეა გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას, რომ დაძაბულობისა და პროვოკაციების ზრდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ ძირს უთხრის რეგიონის სტაბილურობას და შესაძლოა, გამოიწვიოს ცალკეულ შეტაკებათა ან ომის განახლება. კერძოდ, ის გამოთქვამს მწუხარებას საქართველოს პოლიციის ოფიცრებზე ბოლო დროს განხორციელებული თავდასხმების გამო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებთან ახლომდებარე ადგილებში. ის მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მონიტორთა სრულფასოვანი დაშვება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ისევე როგორც ახალი ინტერნაციონალიზებული სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბება რეგიონში, უმნიშვნელოვანესია სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და არ უნდა იყოს განპირობებული ამ რეგიონთა სტატუსის საკითხით.

ასამბლეა, შესაბამისად:

5.1. გამოთქვამს მწუხარებას რუსეთისა და დე ფაქტო მთავრობათა მიერ გამუდმებით უარყოფას, დაუშვან ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მონიტორები სამხრეთ ოსეთში და ევროკავშირის მონიტორები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში;

5.2. გამოთქვამს ღრმა სინანულს საქართველოში ეუთოს მისიის დახურვასთან დაკავშირებით, რაც გამოიწვია რუსეთის წინააღმდეგობამ მისი ზუსტი მანდატის განსაზღვრის საკითხზე და მოუწოდებს ყველა მხარეს, განსაკუთრებით კი რუსეთის ხელისუფლებას, დაეთანხმოს საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის იმგვარ ფორმატს, მისი სამხედრო სამონიტორინგო ოპერაციის ჩათვლით, რომელიც არ მიაყენებს ზიანს ორი სეპარატისტული რეგიონის სტატუსს;

5.3. მიესალმება საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) დამკვირვებელთა მუდმივად დაშვებას აფხაზეთში და მოუწოდებს ყველა მხარეს, თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რაც შეუქმნის საფრთხეს მისიის მანდატის განახლებას გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2009 წლის 15 თებერვალს;

5.4. გმობს მანდატის ფლობის გარეშე რუსეთის სამხედრო ყოფნასა და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში, ისევე როგორც ახალგორში, ჰერევსა და ზემო აფხაზეთში და იმ სოფლებში, რომელთაც აკონტროლებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტის დაწყებამდე;

6. ასამბლეა კვლავ ადასტურებს მის სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ისევე როგორც მისი საზღვრების ურღვევობის მიმართ. ამასთან დაკავშირებით, ის გამოთქვამს მწუხარებას რუსეთსა და ორივე სეპარატისტულ რეგიონს შორის ხელმოწერილ „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებათა ერთსულოვანი რეტიფიცირების გამო რუსეთის პარლამენტის ორივე პალატის მიერ, რაც წარმოადგენს დარღვევას როგორც ზემოხსენებული პრინციპებისა, ასევე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული შეთანხმებისა;

7. ასამბლეა გმობს ეთნიკურ წმენდასა და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა ფაქტებს სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც რუსეთისა და დე ფაქტო მთავრობების წარუმატებლობას ამგვარი პრაქტიკის აღკვეთასა და დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენაში. ასამბლეა განმეორებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, რუსეთს პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტებზე ამ რეგიონებში, რომლებიც იმყოფებიან მის დე ფაქტო კონტროლქვეშ.

8. საქართველოსთან მიმართებაში, ასამბლეა:

8.1. მიესალმება საქართველოს ხელისუფლების კონსტრუქციულ მიდგომასა და ცხად პოლიტიკურ ნებას, აღასრულოს ასამბლეის მოთხოვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა რეზოლუციაში 1633 (2008) და მიიჩნევს, რომ საქართველომ შეასრულა მრავალი, მაგრამ არა მისი ყველა მოთხოვნა;

8.2. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ყველა აღუსრულებელი მოთხოვნის დროული და სრულყოფილი განხორციელება;

8.3. მიესალმება საგამოძიებო კომისიის შექმნას საქართველოს პარლამენტის მიერ, როგორც გამოვლინებას მისი ნებისა, გააანალიზოს საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები და შეცდომები ომის დაწყებისას და მისი მიმდინარეობისას. ასამბლეა შენიშნავს, რომ აღნიშნულმა კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და გამოაქვეყნა მოხსენება 2008 წლის დეკემბერში და მოუწოდებს პარლამენტს, გადახედოს მის დასკვნებს ევროკავშირის ფაქტების მომკვლევი მისიის სამომავლო მოხსენების ჭრილში;

8.4. იმ უტყუარი მტკიცებულების ფონზე, რომ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას ომის მიმდინარეობისას, მიესალმება გამოძიების დაწყებას საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა ორივე მხრიდან ომის მიმდინარეობისას და მის შემდგომ და მოუწოდებს მას, მიუკერძოებლად გამოიძიოს სავარაუდო დარღვევის მის ხელთ არსებული ნებისმიერი ფაქტი და უზრუნველყოს, რათა დამნაშავეები წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე;

8.5. აფიქრებს ის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დებულებები, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებთან და შესაბამისად, მოუწოდებს საქართველოს, დროულად შეასრულოს კანონის მეშვეობით დემოკრატიის ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელიც ასახვას ჰპოვებს კომისიის მომავალ მოსაზრებაში აღნიშნული კანონის შესახებ, რომლის მომზადება მოითხოვა ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტმა;

8.6. მოუწოდებს საქართველოს, თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს, ან გაზარდოს დაძაბულობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ.

9. რუსეთთან მიმართებაში, ასამბლეა:

9.1 შენიშნავს რუსეთის ხელისუფლების გაცხადებულ ნებას, ჩაერთოს კონფლიქტთან დაკავშირებით წარმოებულ კონსტრუქციულ და ღია დიალოგში ასამბლეასთან;

9.2 მიესალმება რუსეთის პარლამენტართა მხრიდან გამოხატულ მზადყოფნას, ჩაერთონ თავიანთ ქართველ კოლეგებთან დიალოგში ასამბლეის ეგიდის ქვეშ;

9.3 სთხოვს რუსეთს, სრულყოფილად და უპირობოდ განახორციელოს საპარლამენტო ასამბლეის ყველა მოთხოვნა, ასახული მის რეზოლუციაში 1633 (2008), მათ შორის, საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობის გაუქმება, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების შესრულება, ეუთოსა და ევროკავშირის მონიტორთა დაშვება სამხრეთ ოსეთში, საქართველო და აფხაზეთში, საქართველო; და ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა აქტიური მონაწილეობით, იღვაწოს ახალი სამშვიდობო ფორმატისა და ინტერნაციონალიზებული სამშვიდობო ძალების შექმნისათვის;

9.4 განსაკუთრებით სთხოვს რუსეთს, გაიყვანოს ჯარები ახალგორის რაიონიდან, ზემო აფხაზეთიდან, ცხინვალის გარშემო ქართული ანკლავიდან და სოფელ პერევიდან და დაიყვანოს საკუთარი სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობა კონფლიქტის წინარე მდგომარეობამდე;

9.5 მოუწოდებს რუსეთს, სრულყოფილად და უპირობოდ შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების ყველა პუნქტი;

9.6 მოუწოდებს რუსეთს, დაეთანხმოს საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის, მათ შორის მისი სამხედრო სამონიტორინგო ოპერაციის განახლებას;

9.7 მოუწოდებს რუსეთს, არ შეუქმნას არანაირი წინაღობა აფხაზეთში გაეროს მისიის მანდატის განახლებას;

9.8 მოუწოდებს რუსეთს, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, სრულად დაუშვას ყველა საერთაშორისო მონიტორი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, კერძოდ კი, დაუშვას ეუთოს მონიტორები სამხრეთ ოსეთში, ხოლო ევროკავშირის მონიტორები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და არ დაუშვას აღნიშნულის განპირობება ამ რეგიონების სტატუსის საკითხით;

9.9 მოუწოდებს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობას, უზრუნველყონ ეთნიკური წმენდისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების აღკვეთა, რასაც კვლავაც აქვს ადგილი სამხრეთ ოსეთში და დამნაშავეები სასწრაფოდ წარადგინოს მართლმსაჯულების წინაშე;

9.10 მოუწოდებს რუსეთსა და ორივე რეგიონის დე ფაქტო მთავრობებს, დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის მხრიდან მომდინარე პროვოკაციებსა და თავდასხმებს და თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ან გაზარდოს დაძაბულობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების გაყოლებაზე;

9.11 მოუწოდებს რუსეთსა და დე ფაქტო მთავრობას, სრულყოფილად დაიცვან ქვეყნის შიგნით გადაადგილებული ყველა პირის დაბრუნების უფლება მათ ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე.

9.12 იმ უტყუარი მტკიცებულების ფონზე, რომ როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას ომის მიმდინარეობისას და მის შემდგომ, გამოთქვამს წუხილს იმ ფაქტის გამო, რომ რუსეთის პროკურატურას ჯერაც არ დაუწყია გამოძიება ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის საგარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩადენილ იქნა რუსეთისა და მასთან შეკავშირებული სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს, წამოიწყოს ამგვარი გამოძიება ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე და უზრუნველყოს დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა.

10. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობასთან მიმართებაში, ასამბლეა აღნიშნავს, რომ მან ზოგადად შეასრულა მოთხოვნა სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ, თუმცა, გამოთქვამს სინანულს, რომ მან ვერ ითანამშრომლა საერთაშორისო სამონიტორინგო მისიებთან და რომ აწესებს უმიზეზო შეზღუდვებს ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა დაშვებაზე სამხრეთ ოსეთში.

11. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს:

11.1 შეუფერხებლად და უპირობოდ დაუშვან ჰუმანიტარული ორგანიზაციები და ჰუმანიტარული დახმარება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე;

11.2 ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე მოაწერონ ხელი გაეროს კონვენციას კასეტური შეიარაღების შესახებ;

11.3 განახორციელონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი შუალედური ზომები, ისევე როგორც აღნიშნულ სასამართლოთა მიერ მომავალში გამოტანილი ნებისმიერი განჩინება, დაკავშირებული ადამიანის უფლებათა საგარაუდო დარღვევის ფაქტებთან კონფლიქტის მიმდინარეობისას და სრულყოფილად და უპირობოდ ითანამშრომლონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებულ ყველა შესაძლო გამოძიებასთან;

11.4 იმოქმედონ კონსტრუქციულად ახალი სამშვიდობო ფორმატისა და ინტერნაციონალიზებული სამშვიდობო ძალების შესაქმნელად.

12. ასამბლეა მიესალმება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ ამჟამად გამოვლენილ ძალისხმევას, დაიცვას ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული უსაფრთხოება რეგიონში. ის მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს, უზრუნველყონ აღნიშნულთან დაკავშირებით მის მიერ შემუშავებული ექვსი პრინციპის სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელება.

13. ასამბლეას განსაკუთრებით აფიქრებს ადამიანის უფლებათა დაცვის და ჰუმანიტარული მდგომარეობა სოფელ პერევში, ზემო აფხაზეთსა და ახალგორის რაიონში, ისევე როგორც ახალგორის რაიონის სტატუსის საკითხი, რომელიც, თუმცა ფაქტობრივად წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ნაწილს, არასოდეს ყოფილა დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლქვეშ და მუდამ იყო უმთავრესად ეთნიკური ქართველებით დასახლებული. ამასთან დაკავშირებით, ის შენიშნავს, რომ ახალგორის რაიონი რუსეთის სამხედრო ძალების მიერ ოკუპირებულ იქნა 2008 წლის 15 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან სამი დღის შემდეგ.

14. ასამბლეა მიუღებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შედეგების გამო, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ეფექტიანად ისარგებლონ ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებით, რომელთაც მათთვის, როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეთათვის, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თუ სხვა სათანადო კონვენციები.

ევროპის საბჭოს სივრცეში დაუშვებელია, არსებობდეს ამგვარი ჩავარდნა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. აქედან გამომდინარე, ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, შეიმუშაოს საფუძვლიანი სამოქმედო გეგმა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონვენციით გარანტირებული უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა მიერ. აღნიშნული, შესაძლოა, გულისხმობდეს წარმომადგენლობის გახსნას ადგილზე ორ სეპარატისტულ რეგიონში, როგორც ამას მოითხოვს ასამბლეის რეზოლუცია 1633 (2008), მათ შორის სახალხო დამცველის ოფისის დაარსებას, რომელიც შეისწავლიდა ინდივიდუალურ საჩივრებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. სხვა სახის სარწმუნო გამოძიების არარსებობის პირობებში, ადგილზე წარმომადგენლობას შეეძლო გამოეძია და დოკუმენტურად აესახა ომის მიმდინარეობისას და მის შემდგომ დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები.

15. ასამბლეა კვლავ ადასტურებს თავის რწმენას, რომ ჭეშმარიტი დიალოგის წარმართვა წარმოადგენს ნებისმიერი კონფლიქტის გადაწყვეტისა და რეგიონში სტაბილურობის დამკვიდრების ერთადერთ გზას, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შესრულდება შინაარსიანი დიალოგისთვის საჭირო მინიმალური მოთხოვნები, ჩამოყალიბებული რეზოლუციაში 1633 (2008). შესაბამისად, ის უსახავს ამოცანას თავის ბიუროს, აღნიშნულ რეზოლუციასთან თანხმობაში, გონივრულ ვადაში ჩამოაყალიბოს სპეციალური კომიტეტი, რომლის ფარგლებში სამუშაოდ მიწვეულ იქნებიან ქართველი და რუსი პარლამენტარები, მათ ურთიერთგანსხვავებულ პოზიციათა შეჯერებისა და ომის შედეგების საპასუხო კონკრეტულ წინადადებათა შემუშავების მიზნით. ასამბლეა მიესალმებოდა, ასევე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემთა წარმომადგენლების შესაძლო მონაწილეობას აღნიშნული კომიტეტის მუშაობაში, როგორც დე ფაქტო მთავრობის მხარდამჭერთა, ისე საქართველოსთან რეინტეგრაციის მოსურნეთა რიგებიდან, რისთვისაც, თავდაპირველად უნდა შეთანხმდეს მათი მონაწილეობის ფორმატი.

16. ასამბლეა მოუწოდებს ევროკავშირს, განაგრძოს ეფექტიანი გზების ძიება საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, მათ შორის მისი სამონიტორინგო მისიის მანდატის განგრძობისა და განმტკიცების თვალსაზრისით, რათა მან მოიცვას მოსახლეობის დაცვისა და სამშვიდობო ფუნქციები და გაავრცელდეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო საზღვრების ორივე მხარეს, ისევე როგორც ყოფილი კონფლიქტური ზონების ამჟამად ოკუპირებულ სხვა ნაწილებზე.

17. გაითვალისწინა რა საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგები ევროპაში არსებულ სხვა ე.წ. "გაყინულ კონფლიქტებთან" მიმართებაში, ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, გაზარდონ თავიანთი დიპლომატიური ძალისხმევა იმგვარი გამოსავლის საძიებლად, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობრივი დაპირისპირების თავიდან აცილებას. იმავდროულად, ასამბლეამ უნდა გააქტიუროს თავისი მუშაობა ამ საკითხებზე, განსაკუთრებით მთიან ყარაბაღთან და დნესტრისპირეთთან მიმართებაში.

18. ასამბლეა იმეორებს საკუთარ ვალდებულებას, მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების თავიდან აცილებაში და ამ კონტექსტში, მიესალმება წინასწარი მაფრთხილებელი სისტემებისა და ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების საკითხებზე მომუშავე სპეციალური ქვეკომიტეტის შექმნას მისი პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის ფარგლებში.

19. ასამბლეა მოუწოდებს მის მონიტორინგის კომიტეტს, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნული რეზოლუციის, ისევე როგორც მისი რეზოლუციის 1633 (2008) განხორციელების მსვლელობას რუსეთისა და საქართველოს მიერ და მოახსენოს ამის შესახებ ასამბლეას მე-2 წილობრივ სხდომაზე 2009 წლის აპრილში. ის ასევე, კვლავ იმეორებს თხოვნას მონიტორინგის კომიტეტისადმი, გააძლიეროს მის მიერ წარმოებული მონიტორინგის პროცედურა როგორც საქართველოსთან, ისე რუსეთთან მიმართებაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.coe.int / www.coe.ge

---

[1] 2009 წლის 28 იანვარს გამართული ასამბლეის დებატი (მე-5 და მე-6 სხდომა) (იხ. დოკ. 11800, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიერ აღებულ ვალდებულებათა და მოვალეობათა აღსრულების კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი)) მოხსენება, თანამომხსენებლები: ბ-ნი ვან დენ ბრანდე და ბ-ნი იორში; დოკ. 11806, პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოსაზრება, მომხსენებელი: ბ-ნი გროსი, და დოკ. 11805, სამართლებრივ საქმეთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრება, მომხსენებელი: ბ-ნი პურგურიდისი). დოკუმენტი ასამბლეამ მიიღო 2009 წლის 28 იანვარს (მე-6 სხდომა).